

დანართი 12

ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის გადაწყვეტილება აფხაზეთის საქართველო, თაობაზე ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის სპეციალური კომიტეტის დაარსების შესახებ

ითვალისწინებს რა საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციას აფხაზეთში საქართველო სიტუაციის თაობაზე

სახს უსვამს რა გაეროს უშიშროების საბჭოს მრავალრიცხოვანი რეზოლუციებისა და ეუთოს ფარგლებში უმაღლესი დონის შეხვედრების შედეგების მიხედვით მიღებული დოკუმენტების იმპლემენტაციის მნიშვნელობას

მიესალმება მნიშვნელოვან წვლილს, რომლის შეტანას აგრძელებს გაერო კონფლიქტების მოგვარების გზების ძიებაში;

ადასტურებს რა რომ კონფლიქტი გადაჭრილი უნდა იქნეს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების აგრეთვე ბუდაპეშტში და ლისაბონში ეუთოს ფარგლებში უმაღლესი დონის შეხვედრების ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის და დსთ შესაბამისი ორგანოების გადაწყვეტილებათა და რეზოლუციების დებულებების შესაბამისად საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აფხაზეთისათვის ფართო ავტონომიის გარანტიისა და დემოკრაფიული სიტუაციის ხელშეწყობის შედეგად აფხაზეთში საქართველო ჩატარებული უპირატესად ქართული მოსახლეობის მასობრივი განადგურებისა და ძალადობრივი განდევნის - აგან დაცვის საშუალებების მიცემის გათვალისწინებით როგორც ამის შესახებ განცხადებული იყო ეუთოს ფარგლებში ბუდაპეშტში ლისაბონში და სტამბოლში უმაღლესი დონის შეხვედრებზე

გამოხატავს რა ღრმა შეშფოთებას კონფლიქტის ზონაში დაძაბული სიტუაციის მნიშვნელოვანი გაუარესების შესაძლებლობით აგრეთვე კონფლიქტის განახლების რისკით იმ შემთხვევაში თუ მრავალრიცხოვანი ლტოლვილები და იძულებით გადაადგილებული პირები არ მიიღებენ თავიანთი სახლებში უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების შესაძლებლობას

ითვალისწინებს რა ქართული დელეგაციის მიმართვას ეუთოს საპარლამენტო ასამბლეაში ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის მუდმივი კომიტეტისადმი

ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის მუდმივი კომიტეტი იღებს გადაწყვეტილებას აფხაზეთის თაობაზე საქართველო ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის სპეციალური კომიტეტის დაარსების შესახებ და ანიჭებს მას შემდეგ უფლებამოსილებებს:

ხელი შეუწყოს კონფლიქტის მშვიდობიანი და სამართლიანი მოწესრიგებისათვის პოლიტიკური შესაძლებლობების გაფართოებას აგრეთვე საქართველოში სტაბილურობასა და სახელმწიფოებრივ ერთიანობას ეუთოს პრინციპებისა და ვალდებულებების საფუძველზე

მხარი დაუჭიროს რეგიონში ეუთოს აქტიურ ყოფნას ხელი შეუწყონ ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების მიმართ პატივისცემის ამაღლებას დახმარება აღმოუჩინოს სამართლებრივი და დემოკრატიული ინსტიტუტებისა და პროცესების განვითარებაში გაუწიოს დახმარება კონფლიქტის მხარეებს სამართლებრივი პოლიტიკური და კონსტიტუციური ფარგლების შემუშავებისას ამ გაყინული კონფლიქტის სასწრაფო გადაწყვეტისათვის აგრეთვე რეკომენდაციები შესთავაზოს კონფლიქტის გადაჭრის პროცესში მონაწილე მხარეებს ამგვარი კონფლიქტების მომავალში თავიდან ასაცილებლად

დადგინდეს მიზეზები რომელთა გამოც მრავალრიცხოვანი რეზოლუციები მიღებული რიგი ძირითადი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ეუთოს და მისი საპარლამენტო ასამბლეის ჩათვლით არ სრულდება და დაისახოს პრიორიტეტები ამ სავალალო ტენდენციის გამოსასწორებლად

ავალდებულებს სპეციალურ კომიტეტს რეგულარულად მოახსენოს თავისი საქმიანობის და რეგიონში სიტუაციის შესახებ და გაგზავნოს შესაბამისი რეკომენდაციები ეუთოს საპარლამენტო ასამბლეაში

თავისი მანდატის ეფექტური აღსრულებისათვის აგრეთვე სხვა სტრუქტურების საქმიანობის დუბლირების თავიდან აცილებისათვის კომიტეტი რეგიონში ჩასვლისას იმუშავებს საერთაშორისო ინსტიტუტებთან კერძოდ საქართველოში ეუთოსა და გაეროს მისიებთან მჭიდრო თანამშრომლობით

ქ ვენა, 23 თებერვალი 2001 წელი